შოთა იათაშვილი

# ადგილი

პიესა 4 ეპიზოდად

## მოქმედნი პირნი:

გაგა — ლალი — პოლიციელი
გიგა — ლილი — ქუჩაში მოსიარულენი
გოგა — ლოლი
გუგა

ქუჩაში მოსიარულეების სქესი, ასაკი, გარეგნობა, ჩაცმულობა და ა. შ. განსაზღვროს სპექტაკლის რეჟისორმა.

### ეპიზოდი 1

ქალაქის ცენტრალური ქუჩა. ქუჩაში აბუზულები დგანან გაგა, გიგა, გოგა და გუგა. მათ უკან გაშლილია დახლი, რომელზეც რაღაც გაურკვეველი ნივთები ალაგია. მთელი მოქმედების განმავლობაში ქუჩაში მოსიარულენი ხანდახან ჩერდებიან ამ ნივთების წინ და ათვალიერებენ.

**გაგა** — ცივა... (პაუზა)
**გუგა** — ჰო, ცივა... (ხელებს იფშვნეტს. პაუზა)
**გიგა** — ჰო, ფეხები გამეყინა... (პაუზა)
**გუგა** — ჰო... (პაუზა), ჰეჰ... (ფეხებს აბაკუნებს) ხელთათმანები მაინც მქონდეს...
**გაგა** — ცოტა ხნით გათხოვებ. (ხელთათმანებს იხდის და აწვდის. გუგა ჯერ მარჯვენა ხელთათმანს იცვამს, მერე მარცხენას ჩაცმას ცდილობს. არ გამოსდის. დაწნეული ფუფურებს)
**გუგა** — ეს რა არის?

გაგა — რა?
გუგა — არ მეცემება.
გაგა — მარჯვენასკია.
გუგა — (მარჯვენა ხელს უყურებს) მარჯვენა ხომ ჩავიდე?
გაგა — მერე რა, ეგეც მარჯვენაა. ორი წყვილი მქონდა, ერთნაირი. ორივესი მარცხენა დავკარგე. ახლა მარცხენაზეც მარჯვენას ვიცვამ უკუღმა. ცოტათი მოუხერხებელია. თითებს კარგად ვერ ვამოძრავებ. მაგრამ უხელთათმანობას მაინც ჯობია. (გუგა ხელთათმანს არტყ-ნებს და უკუღმა იცვამს) ძორია? (გუგა თავს უქნევს. პაუზა. უხა-სიათოდ) კარგავშიც კი არა მაქვს მეორე...
გეგა — (ახლამდე არ უსმენდა) რა თქვი?
გაგა — კარგავშიც კი არა მაქვს-მეთქი მეორე.
გეგა — ეგ რატომ?
გაგა — ერთი მარცხენა მაინც დამეკარგა და მეორე მარჯვენა...
ქუჩაში მოხეტიალე — (რაღაც ნივთზე უთითებს) ეს რა ღირს?
გეგა — (ყურადღება გადააქვს) ათასი. (მოხეტიალე მიდის)
გოგა — ეჰ!
გუგა — არ იყიდება.
გეგა — სიკვდილს მრავალია.
გოგა — გუშინწინ კარგი ამინდი იყო. არც მაშინ ვაიყიდა.
გუგა — ჰო... (პაუზა)
გაგა — გოგა სად არის?
გეგა — რადიკულიტი აქვს.
გაგა — გოგას?
გეგა — ჰო. მეორედ. (პაუზა)
გოგა — ტყუილად ვდგავართ.
გაგა — სხვა რა გზა გვაქვს.
გიგა — მაინც ტყუილად ვდგავართ.
გაგა — მაინც არა გვაქვს სხვა გზა.
გიგა — გაზეთებითაც არავინ ჩერდება.

(ამ დროს დარბაზში ახალგაზრდა გოგონა შემოდის და ნივთების თვალიერებას იწყებს)

გაგა — აი, გაჩერდა.
გიგა — მაინც არ იყიდის.
გაგა — რა იცი?
გიგა — ფასსაც არ იკითხავს.
გოგონა — (გიგასაკენ ბრუნდება. რაღაც ნივთზე უთითებს) რა ღირს?
გიგა — (ნივთს აკვირდება. გოგონას) ათასი...



გოგონა — (ზრდილობიანად) გმადლობთ... (მიტრიალდება და თვალიერებას აგრძელებს)
გაგა — (გოგონაზე) კარგი ფეხები აქვს. (გოგონას გრძელი, თითქმის კოჭებამდე პალტო აცვია)
გუგა — ჰო (პაუზა)
გოგონა — (ისევ ბრუნდება. გიგას ახლა სხვა ნივთზე უთითებს) ეს?
გიგა — ათასი.
გოგონა — (ზრდილობიანად) გმადლობთ... (მიტრიალდება და თვალიერე-ბას აგრძელებს)
გეგა — (გოგონაზე) კარგი მკერდი აქვს...
გიგა — ჰო (პაუზა)
გოგონა — (ერთხელაც ბრუნდება და გიგას სხვა ნივთზე უთითებს) ეს?
გიგა — ათასი.
გოგონა — (ზრდილობიანად) გმადლობთ... (მიდის. ყველანი თვალს აყო-ლებენ)
გიგა — (დანანებით) წავიდა...
გუგა — ჰო.
გეგა — კარგია...
გიგა — ჰო...
გაგა — (თავისთვის) შეიძლება. (პაუზა. გუგას) გუგა!
გუგა — ჰო...
გაგა — ხელთათმანები დამიბრუნე (გუგა ხელთათმანებს იძრობს და უბ-რუნებს. გაგა იცვამს. პაუზა. მერე ოთხივენი ერთდროულად იღე-ბენ ჯიბიდან სიგარეტის ერთნაირ კოლოფებს. გაგა სანთებელას ან-თებს. უკიდებენ. ეწევიან. უცებ ისმის პოლიციის მანქანების სირე-ნა. ოთხივენი მარცხნისაკენ აყოლებენ თვალს და ერთ წერტილს აშ-ტერდებიან)
გაგა — მოვიდნენ.
გეგა — ჰო, მოვიდნენ.
გოგა — ყოველდღე მოდიან.
გუგა — თითქმის ყოველდღე.
გაგა — აი, გადმოდიან უკვე.
გუგა — ჰო, გადმოდიან.
გიგა — ახლა შევლენ.
გეგა — აი, შედიან კიდეც (პაუზა).
გაგა — მერე დასხდებიან.
გეგა — ილაპარაკებენ.
გიგა — მეერს.
გუგა — ძალიან.
გაგა — მერე გამოვლენ.

გეგა — აუცილებლად.
გაგა — ისევ მანქანებში ჩასხდებიან.
გეგა — აუცილებლად.
გაგა — ისევ ჩავყვინთდებენ.
გეგა — აუცილებლად.
გაგა — ჩვენ კი ისევ აქ ვდგებით.
გეგა — აუცილებლად. (ხანგრძლივი პაუზა).
გუგა — ყოველდღე.
გიგა — რა?
გუგა — ერთი და იგივე. (პაუზა) მისვლა. (პაუზა) გადმოსვლა. (პაუზა) შესვლა. (პაუზა) ლაპარაკი...
გიგა — (აწყვეტინებს) ჩვენც ვლაპარაკობთ.
გუგა — ყველა ლაპარაკობს.
გოგა — მუნჯების გარდა.
გაგა — არა, მუნჯებიც.
გიგა — რა?
გაგა — ლაპარაკობენ.
გეგა — ჰო.
გაგა — ხელებით.
გიგა — რომ არ ჰქონდეთ?
გაგა — [illegible] ფეხებით (პაუზა) ალბათ.
ერთ-ერთი გამვლელი გოგონა — (აქამდე ცაცხვს ათვალიერებდა. ტრიალებდა და ერთ-ერთ ბიჭზე უთითებს) ეს რა ლილია?
გაგა — ათასი... (გოგონა გაგას შეხედავს. მზერა ერთმანეთზე გაუშტერდებათ) ლილი...
ლილი — გაგა... (ხელს გაუწვდის. გაგა ხელს ჩამოართმევს. პაუზა) გამარჯობა...
გაგა — გამარჯობა... (პაუზა)
ლილი — (არ იცის რა თქვას. წიგნზე უთითებს) კარგია...
გაგა — არის.
ლილი — ჰო, ავიღებ (ჩანთას ხსნის და ფულს იღებს).
გაგა — არა, ისე.
ლილი — (ვერ ხვდება) როგორ, ისე?
გაგა — საჩუქრად.
ლილი — საჩუქრად? (ჯერ წიგნს შეხედავს, მერე გაგას და მერე ფულს) კარგი. (წიგნს იღებს და ფულთან ერთად ჩანთაში იდებს. გაგას) მე წავედი, მეჩქარება (სწრაფი ნაბიჯებით მიდის. ოთხივენი თვალს აყოლებენ).
გაგა — წავიდა...
გიგა — წავიდა...



გეგა — ვინ იყო?

(გაგა არაფერს პასუხობს. ჯიბიდან სიგარეტს იღებს, უკიდებს. ეწევა. [illegible] იყურება)

გაგა — მანქანებმა მოიმატა.
გეგა — რა?
გაგა — ამ ბოლო დროს მანქანების რაოდენობამ მოიმატა ქალაქში.
გიგა — მანქანებში თბილა.
გეგა — თბილა.
გიგა — და მუსიკა უკრავს.
გეგა — ყველაში არა.
გიგა — ბევრში.
გეგა — კი.
გიგა — და შიგ ლამაზი ქალები სხედან.
გეგა — ყველაში არა.
გიგა — ბევრში.
გეგა — კი.
გიგა — და „სალემს" ეწევიან.
გეგა — ყველა არა.
გიგა — ზოგი „კენტს".
გეგა — კი (პაუზა).
გიგა — მერე რა? (პაუზა, იგივე ტონით) მერე რა? (პაუზა, იგივე ტონით) მერე რა? (პაუზა)
გეგა — არაფერი. (ხანგრძლივი პაუზა)
გუგა — გუშინ ჰოკეი ვითამაშე.
გაგა — (გულგრილად) ჰოკეი?
გუგა — ჰო, მეზობლებთან. წავაგე. ათასი.
გიგა — ათასი?
გუგა — ჰო, დიდი ხანი იყო არ მეთამაშა და წავაგე. ბოლო ფული.
გაგა — აჩია.
გუგა — აჩია. (პაუზა. უცებ ქარი დაუბერავს. ოთხივენი ქარისკენ ზურგით შებრუნდებიან)
გეგა — უჰ!
გუგა — გაატანა ძვლებში...
გიგა — ხომ არ ავიშალოთ?
გაგა — ადრეა ჯერ.
გიგა — არავინ რომ არ მოდის?
გაგა — მოვლენ. (პაუზა. ქარი ჩადგება და ყველანი ტრიალდებიან)
გეგა — როდის წავა ზამთარი...

**გიგა** — გაზაფხულზე წვიმები იქნება...
**გუგა** — ზაფხულში სიცხე.
**გაგა** — შემოდგომაზე ისევ ქარები... (პაუზა)
**გეგა** — სულ აქ ხომ არ ვიდგებით?
**გიგა** — აბა სად?
**გეგა** — სადმე, სხვაგან.
**გიგა** — რა მნიშვნელობა აქვს, ცოტა აქეთ (მარცხნივ იშვერს ხელს) თუ ცოტა იქით (მარჯვნისაკენ ანიშნებს). მითხარი, რა მნიშვნელობა აქვს?
**გეგა** — დიდი (ხანგრძლივი პაუზა).
**გიგა** — მომწყინდა.
**გეგა** — მეც.
**გუგა** — მეც.
**გაგა** — (ჯიბეში ხელს ჩაიყოფს, ფულს ამოიღებს და დაითვლის) მე ათასი მაქვს.
**გიგა** — მე არა.
**გეგა** — არც მე.
**გუგა** — მე ჰოკეიში წავაგე. უკვე გითხარით.
**გაგა** — (გიგას ფულს აძლევს) წადი, იყიდე. ოთხი ღვეზელი მოვა (გიგა ფულს ართმევს და მარჯვენა მხარეს მიდის).
**გუგა** — (გაგას ხელთათმანებზე ანიშნებს) ერთხელაც მათხოვე.

(გაგა ხელთათმანებს იხსნის და გუგას აწვდის. გუგა მარჯვენა ხელზე იცვამს და თან მეორე ხელთათმანს აკვირდება)

**გუგა** — (გაგას) ერთ-ერთს რომ ცერა თითი მოაჭრა და მეორე მხარეს მიაკერო?
**გაგა** — (ხელთათმანს უყურებს) ჰო... შეიძლება... აქამდე არ მიფიქრია...
**გეგა** — (გაგას) ყველას აჯობებს, განცხადება გამოაქვეყნო.
**გაგა** — განცხადება?
**გეგა** — ჰო, გაზეთში. „ვეძებ მოქალაქეს, რომელიც ერთ მარცხენა ხელთათმანს გამიცვლის მარჯვენაში".
**გუგა** — ჭკვიანურია.
**გეგა** — შეუძლებელია, ამოდენა ქალაქში არ იყოს ადამიანი, რომელმაც დაკარგა ორი მარჯვენა ხელთათმანი.
**გუგა** — მართალია.
**გაგა** — მაგრამ თუ სხვადასხვანაირი ხელთათმანები დაკარგა?
**გეგა** — მაშინ დაწერე: „ტყავის შავი მარცხენა ხელთათმანი"...
**გუგა** — სწორია...
**გეგა** — მამაკაცის... მამაკაცის მარცხენა ხელთათმანი... ესეც აღნიშნე.



**გეგა** — აუცილებლად (პაუზა).
**გუგა** — (ქუჩის მეორე მხარეს იყურება. გაგას) მართლა მოიმატა.
**გაგა** — ჰო.
**გეგა** — (ისიც ქუჩისკენ იყურება) არადა თითქოს პირიქით უნდა იყოს...
**გაგა** — რას გაიგებ... (პაუზა. უცებ მარჯვენა მხრიდან ისმის დამუხრუჭების ხმა. მას მოსდევს ქალის შეკივლებისა ხმა და ხალხის ჩოჩქოლი. სამივენი იქით იყურებიან)
**გეგა** — ისევ ავარია.
**გაგა** — ჰო, ვიღაცას დაეჯახა.
**გაგა** — ხალხიც შეგროვდა.

(უცებ ისევ ქარი წამოვარდება. სამივენი კვლავ ქუჩისკენ ზურგით დგებიან)

**გეგა** — გიგა სწორი იყო, მართლა ტყუილად ვდგავართ.
**გაგა** — გაჩერებაც ეზარებათ, ისეთი ამინდია. ჯობია ავალაგოთ.
**გაგა** — გიგას დაველოდოთ.
**გეგა** — სად დაიკარგა...
**გაგა** — მოვა ახლა... (ქარი უფრო მაგრად უბერავს)
**გაგა** — უჰ, წყეული! (პალტოს საყელოს იწევს და თავს უფრო ღრმად რგავს)
**გაგა** — (ცაში აიყურება. მერე ხელს გაიშვერს და აკვირდება) თოვაც დაიწყო.
**გეგა** — ჰა?
**გაგა** — თოვაც დაიწყო, აი, შეხედე! (ხელს აჩვენებს)
ქუჩაში **მოსიარულე** — (ერთ-ერთ ნივთზე უთითებს) ეს რა ღირს?
**გაგა** — (არ ესმის) თოვლი კი არა, მალე ალბათ სეტყვაც დაიწყება.
**გეგა** — და გრიგალი.
**გაგა** — და მიწისძვრა.
**გუგა** — და წყალდიდობა.
ქუჩაში **მოსიარულე** — (უფრო ხმამაღლა) თუ შეიძლება მიპასუხეთ, რა ღირს ეს? (ქარი ძლიერდება, თოვლი სეტყვაში გადადის)
**გეგა** — (არ ესმის) დაიწყო კიდეც.
**გაგა** — ლამისაა ცა ჩამოიქცეს.
**გუგა** — თან უმატებს და უმატებს.
**ქუჩაში მოსიარულე** — (თითქმის ყვირილით) თუ შეიძლება მიპასუხეთ, რა ღირს ეს!
**სამივე ერთად** — (მისკენ აბრუნებენ თავს) ათასი! (მოსიარულე პალტოს საყელოს იწევს და სასწრაფოდ მიდის. ქარიშხალი ძლიერდება)

**ფ ა რ დ ა**

## ეპიზოდი II

იგივე ქუჩა. ქუჩაში დგანან გაგა, გეგა და გუგა. [illegible] ისევ [illegible] ქვა [illegible] შლილი. ქუჩით მოსიარულენი ხანდახან ჩერდებიან მათ წინ და ათვალიერებენ.

**გაგა** — ძლივს გამოზაფხულდა...
**გეგა** — ჰო, გამოზაფხულდა.
**გუგა** — აქამდეც უნდა დამთბარიყო.
**გაგა** — კი.
**გეგა** — მძიმე ზამთარი გადავიტანეთ.
**გუგა** — მძიმე. (ხანგრძლივი პაუზა)
**გაგა** — როგორ ვერ ვნახეთ...
**გეგა** — რა?
**გაგა** — ზაფხული.
**გეგა და გუგა** — (ერთად) ჰოო... (პაუზა)
**გაგა** — ისე, ჩვენი ბრალი არ არის.
**გეგა** — ჰო, ისე შეცვლილი იყო იქაურობა.
**გუგა** — ამდენი ახალი სახლები... მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ... რას გაიგებ...
**გაგა** — თან ყველა ერთმანეთს გავს.
**გუგა** — ყველა. (პაუზა)
**გაგა** — მაინც საწყენია.
**გეგა** — აბა რა.
**გუგა** — ამდენი ხანი ერთად ვიყავით.
**გაგა** — ქარში.
**გეგა** — წვიმაში.
**გუგა** — თოვლში (პაუზა).
**გაგა** — არც კი მჯერა, რომ ამდენი ხანი გავიდა.
**გეგა** — წელიწადზე მეტი.
**გუგა** — ჩვენ კი ისევ აქ ვდგავართ.
**გეგა** — ვითომც არაფერი.
**გუგა** — ოღონდ ახლა გაზაფხულია.
**გეგა** — ხეები ყვავიან.
**გუგა** — ჩიტები ჭიკჭიკებენ.
**გეგა** — თბილა.
**გუგა** — მაშინ კი ციოდა.
**გეგა** — თოვდა.
**გუგა** — ყინავდა (პაუზა).
**გაგა** — (თავისთვის) ოთხი ღვეზელი...
**გეგა და გუგა** — (ერთად) რა?



**გაგა** — ოთხი ღვეზელი...
**გეგა და გუგა** — (ერთად) ჰოო... (პაუზა)
**გეგა** — ღვეზელი გაძვირდა.
**გუგა** — ათჯერ.
**გაგა** — როგორც ყველაფერი.
**გეგა** — ჩვენ კი ისევ აქ ვდგავართ.
**გუგა** — რა მნიშვნელობა აქვს, ცოტა აქეთ (მარცხნივ გაიწევს ხელს) თუ ცოტა იქით (მარჯვნივაკენ ანიშნებს). მთავარი, რა მნიშვნელობა აქვს?
**გაგა** — ეს გიგამ თქვა.
**გუგა** — რა?
**გაგა** — რაც შენ თქვი. არ გახსოვს?
**გუგა** — არა (პაუზა).
**გეგა** — იქნებ მაინც შევიცვალოთ ადგილი? (პაუზა) იქნებ მაინც შევიცვალოთ, ჰა?
**გაგა** — რატომ?
**გეგა** — იქნებ რამე შეიცვალოს (პაუზა). ადგილს თუ შევცვლით (გაგას შეხედავს).
**გაგა** — არ ღირს (გეგა ახლა გუგას შეხედავს).
**გუგა** — (მტკიცედ) არ ღირს.
**ქუჩაში მოსიარულე** — (ერთ-ერთ ნივთზე უთითებს) რა ღირს?
**გაგა** — ათი ათასი (ქუჩაში მოსიარულე მიდის).
**გეგა** — ტყუილად გაზაფხულდა.
**გუგა** — ჰო, მაინც არაფერი იცვლება.
**გაგა** — რომ არ ვიყიდებით, ისიც კარგია.
**გეგა** — (ერთ-ერთ გამვლელ გოგონას თვალს აყოლებს) შარშან უფრო მოკლე კაბები ეცვათ.
**გუგა** — ჰო, ვაჭრობაც უკეთესად მიდიოდა.
**გეგა** — შარშანწინ კიდევ უფრო უკეთ. გახსოვთ?
**გაგა და გუგა** — (ერთდროულად) ჰო. (პაუზა. მერე სამივენი ერთდროულად ამოიღებენ სიგარეტს, მოუკიდებენ და ეწევიან. თან ქუჩის მხარეს იყურებიან)
**გაგა** — უცნაურია...
**გეგა** — რა?
**გაგა** — რაც უფრო უარესად მიდის ვაჭრობა, მით უფრო მატულობს მანქანების რაოდენობა ქუჩაში.

(ისმის პოლიციის მანქანების სირენის ხმა. ყველანი მარცხნივ აყოლებენ თვალს).

**გეგა** — დღესაც მოვიდნენ.

გაგა — ეგენი ყოველდღე მოდიან.
გუგა — უკვე მივეჩვიეთ.
გეგა — ნეტა ისინი თუ გვხედავენ.
გაგა — ჩვენ?
გეგა — ჰო, ჩვენ. ყოველდღე მოდიან ამ გზით. მანქანებიდან, ფანჯრიდან ხომ იყურებიან. ხანდახან მაინც უნდა გვხედავდნენ.
გუგა — არა. ფანჯრიდან იყურებიან, მაგრამ ვერ გვხედავენ.
გეგა — რატომ?
გუგა — დაუკვირდი. ისინი მძღოლების მარჯვნივ სხედან. ამიტომ ქუჩის მარჯვენა მხარეს იყურებიან. ჩვენ კი მარცხენა მხარესა ვართ. ასე რომ, ვერ დაგვინახავენ. ტყუილი იმედია.
გეგა — ალბათ მარტო მძღოლები თუ გვხედავენ.
გაგა — ტყუილი იმედია. ვერც ისინი ვერ გვხედავენ.
გეგა — რატომ?
გაგა — წინ იყურებიან.
გეგა — (უხალისოდ) ჰო. (პაუზა) ნეტა საერთოდ თუ გვხედავს ვინმე?
გაგა — (ჩვევით აიხედავს) ღმერთი.
გუგა და გეგა — (ზევით აიხედავენ, მერე ისევ გაგას შეხედავენ. ერთდროულად) ღმერთი?
გაგა — (დამაჯერებლად) ღმერთი. (ისევ ზევით აიხედავს) მოიღრუბლა...
გეგა — (გაგას) მომისმინე...
გაგა — ჰო...
გეგა — მაშ შენ გჯერა, რომ გვხედავს?
გაგა — ჰო.
გეგა — ესე იგი მარცხნივ ზის? (პაუზა. გაგა და გუგა გაკვირვებულები უყურებენ)
გუგა — (ორივეს) რას მიყურებთ? მარჯვენა მხრიდან ხომ არ ვჩანვართ, ახლა არ ვლაპარაკობდით?
გაგა — არა. ის ზემოთაა (თითს აიშვერს) და ყველას ხედავს. მარცხნივაც და მარჯვნივაც (პაუზა).
გეგა — (გაგას) მომისმინე...
გაგა — ჰო.
გეგა — თვითმფრინავში მჯდარხარ?
გაგა — ჰო.
გეგა — თვითმფრინავი ხომ ზემოთაა.
გაგა — ჰო.
გეგა — და ფანჯრები აქვს.
გუგა — ილუმინატორები.
გეგა — ჰო, ილუმინატორები. მარჯვნივ და მარცხნივ.
გაგა — აქვს.



გეგა — და შენ ან მარჯვნივ ჯდები, ან მარცხნივ.
გუგა — ან შუაში.
გეგა — შუაში სტიუარდესები დადიან.
გაგა — ჩაი მოაქვთ ხოლმე.
გეგა — ან ბორჯომი.
გაგა — ან საწუწნი კანფეტი.
გეგა — პიტნის.
გაგა — ჰო, პიტნის. ფრენის დროს გულს ამაგრებს.
გეგა — მისწრებაა.
გეგა — დიდი ხანია.
გაგა — რა?
გეგა — არ მიფრენია.
გუგა — მეც.
გაგა — მეც. (პაუზა)
გეგა — მერე?
გაგა — რა მერე?
გეგა — არ ვიცი. (პაუზა. გუგას) შენ არ ლაპარაკობდი?
გუგა — მე?
გეგა — ჰო, თვითმფრინავებზე.
გუგა — მგონი.
გაგა — კი. ილუმინატორებზეც.
გუგა — კი. სტიუარდესებზეც.
გეგა — (ცდილობს გაიხსენოს) მე მგონი. (პაუზა) მე მგონი. (პაუზა). ხვალ რა დღეა?

| | | |
|---|---|---|
| გაგა | (ერთდროულად) | სამშაბათი |
| გუგა | | პარასკევი |

გეგა — რა რიცხვია?

| | | |
|---|---|---|
| გაგა | (ერთდროულად) | ჩვიდმეტი |
| გუგა | | ოცდაცხრა |

გეგა — (დაფიქრებული) ჩემი დაბადების დღე ყოფილა (პაუზა). ხვალ.
გაგა და გუგა — (ზედმეტი ემოციების გარეშე) გილოცავთ.
გეგა — მე მგონი (პაუზა). დღეს რა რიცხვია?

| | | |
|---|---|---|
| გაგა | (ერთდროულად) | თექვსმეტი |
| გუგა | | ოცდარვა |

გეგა — (დაფიქრებული) ვერ გავიგე (უსიტყვოდ იღებს სიგარეტს და უკიდებს. გაგა და გუგაც ეწევიან. რამოდენიმე ნაფაზის შემდეგ გეგას ხველება აუვარდება. სიგარეტს გადააგდებს. დიდი ხანი ახველებს. ჩაიბჟირდება. სულს ძლივს მოითქვამს).
გაგა — (გეგას) ასთმა?
გეგა — ჰო, მაქვს.

**გაგა** — სიგარეტი არ შეიძლება.

**გეგა** — ვიცი.

**გუგა** — ვიგო მაგან მოკლა.

**გეგა** — ვიცი.

**გაგა** — ვიციც.

**გეგა** — ვიცი.

**გუგა** — ვიცაც.

**გეგა** — ვიცი.

**გაგა** — არა, ავარიაში მოყვა.

**გუგა** — ჰო.

**ამბლელი გოგონა** — (მათკენ შებრუნდება. ხელში რაღაც შეფუთული უჭირავს) გეგა!

**გეგა** — ლელი?

**ლელი** — (ახლოს მიდის და ლოყაზე კოცნის. საყვედურით) სულ დამივიწყე...

**გეგა** — ლელი...

**ლელი** — (ტუჩზე თითსადებს) თავს ნუ გაიმართლებ! (გაგას და გუგას გადახედავს) ცოტა გვერდზე გავიდეთ.

**გეგა** — (გაგას და გუგას) მოვალ (ორივენი ავანსცენისაკენ მიდიან).

**ლელი** — ცეცხლფერი დაივიწყე...

**გეგა** — არა...

**ლელი** — გაჩუმდი...

**გეგა** — მთელი დღე აქ ვდგავარ.

**ლელი** — მთელი საღამო?

**გეგა** — დაღლილი ვარ. ვისვენებ.

**ლელი** — სულ?

**გეგა** — ჰო.

**ლელი** — (აკვირდება) გახდი.

**გეგა** — კი.

**ლელი** — თმაც გცვივა.

**გეგა** — კი.

**ლელი** — წელშიც მოიხარე.

**გეგა** — კი.

**ლელი** — მკერდიც ჩაგვარდნია.

**გეგა** — კი.

**ლელი** — თვალებიც ამოღამებული გაქვს.

**გეგა** — კი.

**ლელი** — ხელებიც გიკანკალებს.

**გეგა** — კი.

**ლელი** — სახეზეც ცუდი ფერი გადევს.



**გეგა** — კი. (ორივენი ერთმანეთს უყურებენ დაძაბულად).

**გეგა** — (ლელის) დღეს რა რიცხვია?

**ლელი** — ოცდაოთხი.

**გეგა** — (თავისთვის) ესე იგი გუშინ ყოფილა.

**ლელი** — რა?

**გეგა** — არაფერი (პაუზა).

**ლელი** — ძალიან შესამოენა.

**გეგა** — რამ?

**ლელი** — მაშინ რომ მაჩუქე, აქ.

**გეგა** — ჰო... (პაუზა)

**ლელი** — (სკამზე იხედება) უნდა წავიდე. მეჩქარება.

**გეგა** — (ინდიფერენტულად) ნახვამდის.

**ლელი** — (ნივთს, რომელიც ხელში ეჭირა, გაგას აჩვენებს) ჰო, აი ეს მომეწონა.

**გეგა** — (ნივთს უყურებს. მექანიკურად) ათი ათასი...

**ლელი** — (წარბებს აზიდავს) რა იყო?

**გეგა** — (უცებ გამოერკვევა) არაფერი... წადი.

**ლელი** — (ნივთს ხელჩანთაში დებს) ნახვამდის. (გეგასგან ზურგით ბრუნდება და მარჯვენა კულისებისაკენ მიდის).

**გეგა** — (ინდიფერენტულად) ნახვამდის. (დარბაზისაკენ ზურგით ბრუნდება და სცენის სიღრმეში მიდის. კულისებთან მისული ლელი უცებ ტრიალდება)

**ლელი** — (ყვირილით) გა-გა!

**გეგა** — (ტრიალდება, თვალებს აყოლებს)

**ლელი** — (ყვირილით) გა-გა!

**გეგა** — (შეამჩნევს) ჰო!

**ლელი** — (ყვირილით) ეთხოვ დე მი! (გაგა არაფერს პასუხობს) ჩვალ!

(გეგა კვლავ არაფერს პასუხობს. ლელი ხელს უქნევს. ჰაერთიან კოცნას უგზავნის, ტრიალდება და სცენიდან გადის. გეგა ორიოდე წამი გაშეშებული დგას. მერე ისიც ბრუნდება და გაგასთან და გუგასთან მიდის)

**გაგა და გუგა** — (ერთდროულად) რაო?

**გეგა** — ჩვალ...

**გაგა და გუგა** — (ერთდროულად) რაო?

**გეგა** — არაფერი. (პაუზა) წვილი.

**გაგა და გუგა** — (ერთდროულად) რა?

**გეგა** — (გაურკვევლად) ის... (პაუზა) გუშინ.

**გაგა და გუგა** — (ერთდროულად) რა?

**გეგა** — ყოფილა.

**გაგა და გუგა** — (ერთდროულად) რა?
**გეგა** — ჩემი დაბადების დღე.
**გაგა** — (ზედმეტი ემოციების გამო) გილოცავ. (ხელს ართმევს და ლოყაზე კოცნის).
**გუგა** — მეც (ისიც ხელს ართმევს და კოცნის. პაუზა).
**გაგა** — (ზევით აიხედავს) შეხედეთ! (გაგა და გუგა ზევით აიხედავენ) თვითმფრინავი.
**გეგა** — ჰო.
**გუგა** — კვალს ტოვებს.
**გაგა** — ლამაზია.
**გეგა** — (გაგას) და შენ გგონია, იქიდან გვხედავენ?
**გაგა** — მე?
**გეგა** — ჰო, შენ. თან მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც.
**გუგა** — ილუმინატორებიდან.
**გეგა** — ჰო.
**გაგა** — თუ მოღრუბლული არაა.
**გეგა** — ესე იგი ვერ გვხედავენ. ძალიან მოიღრუბლა.
**გუგა** — ძალიან. შეიძლება იწვიმოს.
**გაგა** — შეიძლება.

(უცებ ისმის მანქანის დამუხრუჭების ხმა და შეჯახება. სამივენი მარცხენა მხარეს იყურებიან).

**გეგა** — მგონი, ვიღაცა მანქანამ გაიტანა.
**გაგა** — მგონი.
**გუგა** — როგორც მაშინ.
**გაგა** — როდის მაშინ?
**გუგა** — მაშინ (პაუზა).
**გეგა** — მაშინ მარჯვნივ იყო.
**გაგა** — რა მნიშვნელობა აქვს (პაუზა. იყურებიან).
**გაგა** — მგონი, იმათი მანქანაა.
**გუგა** — ჰო. შავი. გრძელი.
**გაგა** — მატულობს და მატულობს.
**გეგა** — მანქანების რაოდენობა.
**გუგა** — და ავარიების (პაუზა).
**გაგა** — თბილი ღვეზელი.
**გეგა** — ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული.
**გუგა** — და მკერდზე მიხუტებული.
**გაგა** — არ გაუშვია.
**გეგა** — გარშემო აკურატულად ქაღალდი შემოეხვია.



**გუგა** — ქაღალდს ქონიანი ლაქები ეტყობოდა.
**გაგა** — ღვეზელები წვიმისაგან დამცავი იყო.
**გეგა** — ეტყობა, ალაგ-ალაგ გაცივდა.
**გუგა** — გახურებული ღუმელებიდან ფურნში გამოსულიყო.
**გაგა** — ხელი ძლივს გააშვებინეთ.
**გეგა** — მერე ძაღლი ჭამდა.
**გუგა** — გემრიელად.
**გაგა** — ოთხივე შეჭამა.
**გეგა** — გაქცეული ძაღლი იყო.
**გუგა** — შიოდა.
**გაგა** — ღვეზელები კი მოზრდილები იყო.
**გეგა** — ყოველთვის კარგად არჩევდა ღვეზელს.
**გუგა** — სანამ არ მოიტანდა, არც გასინჯავდა.
**გაგა** — არც მაშინ ჰქონდა გასინჯული.
**გეგა** — ქაღალდი შემოეხვია.
**გუგა** — ხელში ჩაებღუჯა.
**გაგა** — მკერდზე მიეხუტებინა (ხანგრძლივი პაუზა).
**გუგა** — მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა.
**გაგა** — და ჩვენ საფლავიც კი ვერ ვიპოვეთ.
**გეგა** — სულ შეცვლილი იყო იქაურობა (პაუზა).
**ქუჩაში მოსიარულე** (ერთ ერთ ნივთზე ანიშნებს) ეს რა ღირს?
**გუგა** — ათი ათასი.
**ქუჩაში მოსიარულე** — რა ამბავია!
**გეგა** — ჩვენი ბრალი არაა.
**გაგა** — ჰო, ჩვენი ბრალი არაა. სულ შეცვლილი იყო იქაურობა.
**ქუჩაში მოსიარულე** — შეცვლილი?
**გაგა** — ჰო. ზევით, ქვევით, მარცხნივ, მარჯვნივ, ყველგან ახალი საფლავები იყო.
**გუგა** — თან ყველა ერთნაირი.
**გეგა** — თითქმის.
**ქუჩაში მოსიარულე** — (ნაჩქარევად) გმადლობთ (მიდის).

(ისმის ჭექა-ქუხილის ხმა. სამივენი ზევით იხედებიან).

**გაგა** — გაწვიმდება.
**გეგა** — კოკისპირულად.
**გუგა** — ავიმალოთ?
**გაგა** — აჯობებს.

(კიდევ ერთხელ ისმის ჭექა-ქუხილის ხმა და მას წამსვე ემატება წვიმის ხმაური).

გაგა — აი, უკვე დაუშვა.
გუგა — დღესაც ტყუილად ვიდექით.
გუგა — სულ ტყუილად.

(ამ სიტყვებზე სამივენი ტახტისაკენ მიდიან, იქვე დაწვებიან. შეიძლება ისმოდეს ალუბენ და ხეეთების ხილღებას იწყებენ. წვიმა ილეგრიცება).

**ფარდა**

## ეპიზოდი III

იგივე ქუჩა. ქუჩაში დგანან გაგა და გუგა, უკვე ისევ ლახლი აქვთ გაშლილი, ფეხით მოსიარულენი ისევ ახე ჩქარობენ მის წინ და თვალიერებენ.

გაგა — დღეს რაღაც თვალი მითამაშებს.
გუგა — რომელი?
გაგა — მარცხენა.
გუგა — (უყურებს) კარგის ნიშანი უნდა იყოს.
გაგა — ვითომ?
გუგა — კი. ბებიისაგან ვიცი. მარცხენა თვალი თუ გითამაშებს, კარგის მომასწავებელია.
გაგა — მე კი მგონია, დაცდაზეა.
გუგა — სულ არ ვიცდით?
გაგა — არა. სხვას გეუბნები. გააჩნია, რომელ თვალზე გაქვს დაცდილი, მარცხენაზე თუ მარჯვენაზე.
გუგა — და ფეხზეც ასეა?
გაგა — ფეხზე?
გუგა — ჰო. აი, მარცხენა ფეხზე ადგომა... მარჯვენა ფეხზე ადგომა...
გაგა — არა, ფეხი სხვაა...
გუგა — ალბათ (პაუზა).
გაგა — (ძირს იყურება. რამდენიმეჯერ ფეხებს აწევს და ისევ დააბიჯებს) გუგა!
გუგა — ჰო!
გაგა — ნახე, ფეხები ასფალტში ეფლობა.
გუგა — (ისიც რამდენიმეჯერ წევს ფეხს და მერე მყარად აბიჯებს, თოლის დანჩემზე იყურება) ჰო, ცოტათი.
გაგა — შარშან ასე არ ცხელოდა.
გუგა — არა.
გაგა — არც ასფალტი დნებოდა.



გუგა — არა (პაუზა).
გაგა — დღეს რამდენი გამოაცხადეს?
გუგა — ასოცდაჩვიდმეტი.
გაგა — ეს როგორ?
გუგა. — მოკლული. დაჭრილი ათასზე მეტი.
გაგა — არა, მაგას არ გეკითხები.
გუგა — აბა?
გაგა — ტემპერატურას.
გუგა — ოცდაჩვიდმეტი.
გაგა — არა მგონია. მეტი უნდა იყოს.
გუგა — ამბობენ.
გაგა — რას?
გუგა — ასოცდაჩვიდმეტზე ნეტავო.
გაგა — მაგას არ გეუბნები.
გუგა — აბა?
გაგა — ტემპერატურაზე. ასფალტი რამდენ გრადუსზე დნება?
გუგა — არ მახსოვს (პაუზა). წყალი ას გრადუსზე დუღდება.
გაგა — ჩაიც.
გუგა — კი. (პაუზა) თავი უკვე ამიდუღდა.
გაგა — მეც.
გუგა — ქუდიც ვიდაი მშველის.
გაგა — ვერც მე.
გუგა — ჩრდილიც არაა.
გაგა — (შეეით იხედება) ჰო, ჩრდილიც არაა. ადრე იყო.
გუგა — (ზევით იხედება) სანამ ხე გახმებოდა.
გაგა — სანამ გეგა მოკვდებოდა.
გუგა — ჰო, გეგა რომ მოკვდა, ეს ხეც გახმა.
გაგა — უცნაურია.
გუგა — ძალიან (პაუზა). ათი წელი გავიდა.
გაგა — ცხრა.
გუგა — ათი.
გაგა — ცხრა.
გუგა — ათი.
გაგა — ცხრა.
გუგა — ათი.
გაგა — (დაფიქრდება) ათი (პაუზა).
გუგა — კარგი დრო იყო მაშინ.
გაგა — კი.
გუგა — კარგად ვცხოვრობდით.
გაგა — კი.

გუგა — ვაჭრობაც კარგად მიდიოდა.
გაგა — კი.
გუგა — გიგას დროს უფრო უკეთესად.
გაგა — კი.
გუგა — გიგია დროს?
გაგა — (სინანულით) ეჰ!
გუგა — გოგის დროს?
გაგა — (უფრო ნეტარი სინანულით) ნურც მახსენებ!
გუგა — გოგის...
გაგა — (გაღიზიანებული აწყვეტინებს) გეყოფა! (პაუზა)
გუგა — (ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და ოფლს იწმენდს) ძალიან დააჭირა.
გაგა — ძალიან (ისიც თანაც იღებს ცხვირსახოცს ჯიბიდან და ოფლს იწმენდს).
გუგა — ხალხი ქუჩაში თითქმის აღარ დადის.
გაგა — სახლებში არიან შეყუჟულები.
გუგა — მარაოებით.
გაგა — ვენტილატორებით.
გუგა — კონდიციონერებით.
გაგა — ან ზღვაზე.
გუგა — ან მთაზე.
გაგა — ან სადმე.
გუგა — ოღონდ აქ არა.
გაგა — ჰო, ოღონდ აქ არა.
გუგა — ყველა გაიქცა.
გაგა — თითქმის.

(ისმის [illegible] მანქანების სირენა, გაგა და გუგა თვალს მარცხნივ აყოლებენ).

გაგა — ესენი კი მაინც აქ არიან.
გაგა — ჩვენსავით.
გუგა — არ ეზარებათ. მოდიან და მიდიან. ყველანაირ ამინდში.
გაგა — უკვე რამდენი წელია.
გუგა — რაც აქ ვდგავართ.
გაგა — არა, ადრე სხვები იყვნენ.
გუგა — მერე კიდევ სხვები.
გაგა — მერე კიდევ.
გუგა — მერე კიდევ.
გაგა — მერე კიდევ.



გუგა — მერე კიდევ (პაუზა). სულ იცვლებიან. მარტო ჩვენ არ ვიცვლებით.
გაგა — ჩვენც შევიცვლებით ოდესმე.
გუგა — ალბათ (პაუზა). ასოცდაჩვიდმეტი.
გაგა — რა?
გუგა — ასოცდაჩვიდმეტი. ყოველდღე. და უფრო მეტიც. ესენი კი ყოველდღე მოდიან.
გაგა — ადრეც მოდიოდნენ.
გუგა — ადრე უფრო ნაკლები იყო.
გაგა — ოცდაჩვიდმეტი.
გუგა — ჩვიდმეტი.
გაგა — შვიდი.
გუგა — ექვსი.
**ქუჩაში გამვლელი** — (ერთ-ერთ ნივთზე უთითებს) ეს რა ღირს?
გაგა — ასი ათასი (გამვლელი მიდის. ორივენი ჯიბიდან ცხვირსახოცებს იღებენ და ოფლს იწმენდენ. მერე სიგარეტს უკიდებენ. ეწევიან).
გაგა — ისევ ამითამაშდა თვალი.
გუგა — ისევ მარცხენა?
გაგა — ჰო.
გუგა — იქნებ გაგვიმართლოს.
გაგა — ჩვენმა თვალმა?
გუგა — საერთოდ. იქნებ გაგვიმართლოს.
გაგა — მეეჭვება (ქუჩას თვალს მოავლებს). ხალხი არ დადის.
გუგა — ძალიან ცხელა.
გაგა — როგორც აფრიკაში.
გუგა — როგორც უდაბნოში.
გაგა — როგორც საჰარაში.
გუგა — როგორც გაზქურაში.
გაგა — როგორც თონეში.
გუგა — როგორც ფურნეში (პაუზა). პურის ქარხანა გახსოვს?
გაგა — რომელი?
გუგა — ჩვენს უბანში. ბავშვობაში. მერე დაანგრიეს. სუნი.
გაგა — ჰო, სუნი. (შეისუნთქავს) ბენზინია, მანქანების გამონაბოლქვის.
გუგა — (ისიც შეისუნთქავს) ტყვიის წამლის.
გაგა — სისხლის.
გუგა — ცომის.
გაგა — პურის.
გუგა — (უფრო ღრმად შეისუნთქავს) არა, პურის არა.
გაგა — (ისიც უფრო ღრმად შეისუნთქავს) მართალი ხარ. არა.

**გუგა** — და არც ცაცხვის.
**გაგა** — (შეისუნთქავს) არა (ზევით აიხედავს), გახმა.
**გუგა** — არც ქალის.
**გაგა** — (შეისუნთქავს) არა. (მიიხედ-მოიხედავს) არ ჩანან.
**გუგა** — ჰო, არ ჩანან. ვეღარავის ვნახულობ.
**გაგა** — ვერც მე.
**გუგა** — ქალის თმები. ცხენის ჩარგავ. სუნამოს სურნელი. სულაც იაფფასიანის. გახსოვს?
**გაგა** — ადრე.
**გუგა** — ჰო.
**გაგა** — იქნებ დაგვიბერდნენ?
**გუგა** — ქალებისათვის?
**გაგა** — საერთოდ.
**გუგა** — არა მგონია. (პაუზა) შეიძლება. (პაუზა) არ ვიცი. (პაუზა) თავი მიბრუის.
**გაგა** — მზის ბრალია.
**გუგა** — ქუდიც აღარ გვშველის.
**გაგა** — ფარფლებიანი უნდა დავიხუროთ.
**გუგა** — არა გვაქვს.
**გაგა** — არც მე.
**გუგა** — ნავებს რა ჰქვია?
**გაგა** — რაა?
**გუგა** — ფარფლებიან ქუდს.
**გაგა** — არ მახსოვს. (პაუზა) ფარფლებიანი ქუდი.
**გუგა** — არა. რაღაც სხვა.
**გაგა** — არ მახსოვს. (პაუზა) სომბრერო.
**გუგა** — ჰო. გვერდულად იხურავენ.
**გაგა** — დაცერებულად.
**გუგა** — მარცხენა მხარეს.
**გაგა** — თუ მარჯვენა მხარეს?
**გუგა** — არ მახსოვს, (პაუზა) მარცხენა მხარეს.
**გაგა** — არა, მარჯვენა მხარეს.
**გუგა** — რა მნიშვნელობა აქვს, (პაუზა) სწორადაც შეიძლება.
**გაგა** — კი (პაუზა), მაგრამ დაცერებულად უფრო უხდება.
**გუგა** — გემოვნების ამბავია.
**გაგა** — არ დაობენ,
**გუგა** — რაზე?
**გაგა** — გემოვნებაზე.
**გუგა** — ჰო. (პაუზა) ვაშლი გიყვარს?
**გაგა** — არა.



**გუგა** — მე კი.
**გაგა** — არ დაობენ.
**გუგა** — ჰო. (პაუზა) თევზის კონსერვი?
**გაგა** — თევზს გააჩნია.
**გუგა** — „კილკა".
**გაგა** — კი.
**გუგა** — მე არა.
**გაგა** — არ დაობენ.
**გუგა** — ჰო. (პაუზა) აბა რაზე დაობენ?
**გაგა** — ძველმოდებზე.
**გუგა** — მაინც?
**გაგა** — ასოცდაჩვიდმეტია თუ უფრო მეტი.
**გუგა** — შენ როგორ გგონია?
**გაგა** — მეტია.
**გუგა** — მეც.
**გაგა** — მეტიც რომ არ იყოს, მაინც მეტია.
**გუგა** — რასთან შედარებით?
**გაგა** — საერთოდ, მეტია.
**გუგა** — ჰო, არაა ცოტა. (პაუზა) კიდევ რაზე დაობენ?
**გაგა** — მარჯვნიდან შეუტიონ თუ მარცხნიდან.
**გუგა** — მერე?
**გაგა** — ვერ გადაწყვიტეს. და ისევ ცენტრიდან უტევენ.
**გუგა** — ცენტრიდან არ ვარგა.
**გაგა** — ჰო.
**გუგა** — აბა რატომ უტევენ?
**გაგა** — აბა არ შეუტიონ?
**გუგა** — რაღა მაინცდამაინც ცენტრიდან? ჰა, რაღა მაინცდამაინც ცენტრიდან? მარცხნიდან შეუტიონ, ან მარჯვნიდან.
**გაგა** — ხომ გითხარი, ვერ გადაწყვიტეს. დღესაც ამისთვის მოვიდნენ.
**გუგა** — ამ სიცხეში.
**გაგა** — ჰო, ამ სიცხეში (პაუზა).
**გუგა** — ძალიან ამტკივდა თავი.
**გაგა** — ჰო, ძალიან აჭერს.
**გუგა** — გულსაც მაზიდებს თითქოს.
**გაგა** — იცის.

(ამ დროს მათ უახლოვდება ოციოდე წლის სიმპათიური გოგონა)

**გოგონა** — გუგა მინდოდა.
**გაგა** — (გუგაზე აჩვენებს) აი.

**გოგონა** — (გუგას) მე ლალი ვარ. ლოლას ლალი.

**გუგა** — (დაფიქრდება) ლოლა... ჰო... დიდი ხანია არ მინახავს.

**ლალი** — არ სცალია (ჩანთას ხსნის და ქაღალდის ნაგლეჯს იღებს) ეს გაქვთ?

**გუგა** — (კითხულობს) კი.

**ლალი** — თქვენთან გამომგზავნა. იცოდა, რომ გექნებოდათ. ძალიან სჭირდება. მითხრა, ფულს არ გამოგართმევენო. ასეა ხომ?

**გუგა** — (დაბნეული) დიახ...

**ლალი** — მაშინ მომეცით.

**გუგა** — (დაბნეული) ახლავე. (დახლთან მიდის და ერთ-ერთ ნივთს იღებს) ინებეთ.

**ლალი** — (ათვალიერებს) ჰო, ესაა. კიდევ გაქვთ?

**გუგა** — კი. ერთიც.

**ლალი** — მაშინ ისიც მომეცით. მითხრა, თუ ექნება, მეორესაც მოგცემსო.

**გუგა** — (დახლთან მიდის და მეორე ნივთს იღებს) ინებეთ.

**ლალი** — (ათვალიერებს) ესაა. (ჩანთაში დებს) ცხელა.

**გუგა** — ჰო, ცხელა.

**ლალი** — აქ როგორ ძლებთ? (ქუდს ისწორებს) უკვე თავბრუ დამეხვა. ჯობია დროზე წავიდე. ნახვამდის (შებრუნდება და მიდის. გუგა რამდენიმე წამით თვალს გააყოლებს, მერე უცებ პირზე ხელს მიიდებს, ორიოდე ნაბიჯს წადგამს, წელში მოიხრება და აღებინებს. გაგა თავს უჭერს. ბოლოს ძლივს ითქვამს სულს. ცხვირსახოცს ამოიღებს. პირს და სახეს იწმენდს).

**გუგა** — სულ ვერ ვიტან ზაფხულს. ზამთარი მირჩევნია.

**გაგა** — მოვა მალე.

**გუგა** — ჯერ შემოდგომაა.

**გაგა** — ჰო, შემოდგომა კარგია.

**გუგა** — აგრილი.

**გაგა** — თავი არ აგტკივდება.

**გუგა** — არც გული აგერევა.

**გაგა** — არა, (პაუზა) კარგი იყო.

**გუგა** — კი. ლოლაც. თავის დროზე.

**გაგა** — ლალიც.

**გუგა** — ლილიაც.

**გაგა** — ლელაც. (პაუზა) გახსოვს?

**გუგა** — არა.

**გაგა** — ასთმით მოკვდა. როგორც გოგა.

**გუგა** — ჰო. საფლავზეც ვერ ავედით.

**გაგა** — ლელასი?

**გუგა** — არა, გოგასი.



**გაგა** — ვერც გოგასი.

**გუგა** — ჰო, ვერც გოგოსი. ვერც გოგისი. ვერც გოგასი. ვერც გიგისი. (პაუზა)

**გაგა** — ვეღარ ვიპოვით.

**გუგა** — ჰო, ვეღარც ვიპოვით. ძალიან იზრდება სასაფლაოები.

**გაგა** — ქალაქზე უფრო სწრაფად.

**გუგა** — არა. ქალაქის ხარჯზე.

**გაგა** — ჰო, ქალაქის ხარჯზე.

(ისმის ორი მანქანის ერთმანეთთან შეჯახების ხმა. გაგა მარცხნივ იხედება. გუგა მარჯვნივ. რამოდენიმე წამი იყურებიან. მერე ერთმანეთს შეხედავენ)

**გაგა** — მარჯვნიდან იყო?

**გუგა** — აქედან არ ჩანს. თუ მარცხნიდან?

**გაგა** — (კიდევ ერთხელ იხედება მარცხნივ) აქედანაც არ ჩანს. (პაუზა) უცნაურია.

**გუგა** — ხმა ხომ გაიგე?

**გაგა** — კი.

**გუგა** — უცნაურია (პაუზა).

**გაგა** — (ქუჩის მხარეს იყურება) ხალხი აღარ დადის ქუჩაში. მხოლოდ მანქანები.

**გუგა** — ჰო, მანქანები ბევრია.

**გაგა** — და სულ მატულობს.

**გუგა** — ხალხიც ამიტომ არ დადის.

**გაგა** — მანქანებში გადასხდნენ.

**გუგა** — და ჰგონიათ დადიან აქ.

**გაგა** — ჩვენი საქონლით.

**გუგა** — რომელსაც აღარავინ ყიდულობს.

**გაგა** — იმიტომ, რომ მანქანებში სხედან.

**გაგა** — ან სახლში.

**გუგა** — ან სადმე.

**გაგა** — ან იქ.

**გუგა** — ან ასოცდაჩვიდმეტი (პაუზა) ყოველდღე (პაუზა) ბევრი გამოდის (პაუზა) ჯამში.

**გაგა** — ძალიან. (პაუზა) მეც დამეწყო.

**გუგა** — რა?

**გაგა** — თავის ბრუნი.

**გუგა** — ოცდაჩვიდმეტზე მეტი.უნდა იყოს.

**გაგა** — მეც ასე მგონია.

**გუგა** — და ასოცდაჩვიდმეტზე მეტიც.

გაგა — ჰო. (პაუზა) ასფალტი რამდენ გრადუსზე დუღდება?
გუგა — ასზე. (პაუზა) წყალი. (პაუზა) ჩაიც. (პაუზა) ასფალტი არ მახსოვს.
გაგა — (ფეხებს მონაყვლეობისა წევს და აბიჯებს) ეფლობა.
გუგა — (გაგასავით იქცევა) უკრძალე. (პაუზა) წავიდეთ?
გაგა — თავი მიბრუის. (პაუზა) ჰო.
გუგა — თვალი სულ ტყუილად გიასამშები.
გაგა — სულ.

(ისევ ისმის მანქანების შეჯახების ხმა)

გუგა — (თვალებს აცეცებს) საიდან იყო?
გაგა — სადღაც აქვე იყო თითქოს.
გუგა — რომ არ ჩანს?
გაგა — ჰო. არ ჩანს.

(ისევ ისმის მანქანების შეჯახების ხმა, უფრო ხმამაღლა)

გუგა — აი კიდევ.
გაგა — უცნაურია.

(ისევ შეჯახების ხმა, უფრო ხმამაღლა)

გუგა — თავი მბრუის და მგონი იმის ბრალია.
გაგა — მგონი დაგვეწყო.
გუგა — რა?
გაგა — რაღაცა ჰქვია.
გუგა — ჰალუცინაციები.
გაგა — ჰო.
გუგა — სიცხისაგან.
გაგა — ჰო.

(ისევ შეჯახების ხმა, კიდევ უფრო ხმამაღლა)

გუგა — წამო, წავიდეთ ჩრდილში.
გაგა — წავიდეთ.

(ისევ შეჯახების ხმა, კიდევ უფრო ხმამაღლა)

## ფ ა რ დ ა

(შეჯახებების ხმა ფარდის დაშვების შემდეგაც რამდენიმე წამი კიდევ გრძელდება, მერე უცებ წყდება)





ისევ ქუჩა. ქუჩაში ღამეა. შუქი ისევ იმ ადგილს აქვს გაშუქებული. გამვლელები ჩაივლიან სახლის წინ და ითვალიერებენ.

გაგა — დავიღალე... (ამოიხვნეშებს. პაუზა) უკვე ფეხები მეყინება... (პაუზა) საათიც არ მიცია... (პაუზა. ერთ-ერთ გამვლელს) მეგობარო, რომელი საათია? (გამვლელს არ ესმის. მიდის) ვერ გაიგო... (პაუზა) დავიღალე... (ამოიხვნეშებს) ფეხები დამაწყდა ლოდინისგან. (პაუზა) ნეტა რა დროა? (პაუზა. ერთ-ერთ გამვლელს) მეგობარო, დროს ხომ ვერ მეტყვი? (გამვლელს არ ესმის. მიდის) არ ესმის... (პაუზა) ცოტა არ იყოს, შემცივდა კიდეც. (პაუზა) აწი დაიწყება... (ამოიხვნეშებს) ქარი, თოვლი, ყინვა... (ამოიხვნეშებს) ის გაუძლებს... (პაუზა) მარტო მაინც არ ვიყო... (ამოიხვნეშებს) მარტოობა, სიბერე, სიცივე... (პაუზა) ერთად... საშინელებაა. (ამოიხვნეშებს. პაუზა. ძირს იყურება) ეს რა არის... (მძიმედ დაიხრება და ძირიდან ფოთოლს აიღებს. სახესთან ახლოს მიიტანს) ფოთოლი ყოფილა... შემოდგომის... ყვითელი... არა, გაყვითლებული. (პაუზა. ზევით აიხედავს. ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ) უცნაურია. ირგვლივ ყველა ხე გახმა (პაუზა) დიდი ხანია. (პაუზა. ფოთოლს უყურებს) ეტყობა ქარმა მოიტანა (მარჯვნივ გაიხედავს) მარჯვნიდან (ახლა მარცხნივ გაიხედავს) ან მარცხნიდან. (პაუზა) დღეს საიდან ქროდა? (დაფიქრდება) არ მახსოვს. (დაფიქრდება) მგონი ზურგიდან. (პაუზა) ზურგის ქარი... (უცებ ქარი დაუბერავს. გაგა პირს იბრუნებს) არა, პირქარი... (მობუზული დგას) გამოდის, ქუჩის მეორე მხრიდან მოუტანია... (ქარი ჩადგება. გაგა ისევ ტრიალდება. ქუჩის მეორე მხარეს გაჰყურებს) როგორც ეტყობა, იქით მხარეს ხეებს ჯერ არ გაუხმიათ. (პაუზა) არასდროს არ დაინტერესებულვარ ქუჩის მეორე მხარეს ხეების მდგომარეობით. (კისერს წაიგრძელებს და იქით მხარეს იყურება) არ ჩანს. (პაუზა), ჯობია სათვალე გავიკეთო. (ჯიბიდან სათვალეს იღებს, იკეთებს და ისევ იქით იყურება) მგონი იქითაც გამხმარა. (პაუზა) უცნაურია. (დაფიქრდება. ისევ ფოთოლს დააცქერდება) აბა ეს ფოთოლი საიდანღა გაჩნდა? (მხრებს იჩეჩავს) ვერ გავიგე. (ფოთოლს უშვებს და ძირს აგდებს) დავიღალე... (ამოიხვნეშებს. პაუზა) ფეხები აღარ მემორჩილება... თან ეს მარტოობა... (პაუზა) მოწყენილობა... (პაუზა) არც არავინ მოდის... (პაუზა) ფასსაც არავინ კითხულობს... (პაუზა) მოგონებებიღა დამრჩა... (პაუზა) არა, მოგონებებიც აღარ დამრჩა... ამ ბოლო დროს სულ ერთი და იგივეს ვიხსენებ. (პაუზა) ერთი და იგივე. ერთი და იგივე. ახალი არაფერი მაგონდება. (ამოიხვნეშებს) გუგა ძალიან დამაკლდა... (პაუზა) ერ-

თმანეთს ვამხნევებდით, ვახალისებდით. რომ მოვკვდები, მის გვერდით უნდა დამასაფლაონ. (პაუზა) აუცილებლად. (პაუზა) ანდერძს დავტოვებ. (პაუზა) აუცილებლად. (პაუზა) ერთი ადგილი არის მის გვერდით. მარჯვნივ, (დაფიქრდება) არა, მარცხნივ. (პაუზა) მგონი. (ხანგრძლივი პაუზა. ჯიბიდან სიგარეტს ამოიღებს, მოუკიდებს და ეწევა. თან ქუჩას ათვალიერებს) რამდენი მანქანა დადის... თვალები მიჭრელდება... ჯობია სათვალე მოვიხსნა... (სათვალეს იხსნის და ჯიბეში იდებს) ჰო, ასე ჯობია. ფერადი ლაქები არ მაღიზიანებს, როგორც სიზმარში. (ქარი წამოუბერავს. გაგა პირს იბრუნებს) ამინდი ფუჭდება, მე კი ვერაფერი გავყიდე. ფასსაც არავინ კითხულობს. (პაუზა) უკვე მაძაგძაგებს. სულ ვეღარ ვიტან სიცივეს. (პაუზა) არ ვიცი, რა მეშველება ამ ზამთარს. (ქარი უფრო მეტად წამოუბერავს) დაიწყო... აწი აღარ გაჩერდება... ჯობია ხელთათმანები გავიკეთო... (პაუზა) სანამ ხელები გამყინვია (ჯიბიდან ხელთათმანებს იღებს და იკეთებს). ძალიან გამომადგა ეს ხელთათმანები. უკვე აღარც მახსოვს, რამდენი წელია, რაც ვატარებ. (დახედავს) მართალია ძალიან გაცვდა, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის დაიხა კიდეც, მაგრამ მაინც ერთგულად მემსახურება. (პაუზა) მართალია, მარცხენა ხელის თითებს ხეირიანად ვერ ვამოძრავებ, მაგრამ სამაგიეროდ თბილად მაქვს. (პაუზა) მთავარია სითბო. მოძრაობა, მით უმეტეს მარცხენა ხელის თითების, სულაც არაა აუცილებელი. (პაუზა) მთელი ცხოვრება აქ ვიდექი. და არცთუ ისე ცუდად განვედი. (პაუზა) ჰო, ყოველ შემთხვევაში, სხვებზე მეტი ვიცხოვრე. მახსენდება, რომელიღაც ჩვენთაგანს უნდოდა, ადგილი შეგვეცვალა. სისულელეა. სად უნდა წავიდე? (აქეთ-იქით იხედება) ვითომ იქით ჯობია? (ხელს მარცხნივ გადააქნევს) ანდა აქეთ? (ახლა მარჯვნივ უთითებს) იქნებ უარესია? ჰო, იქნებ უარესია? (პაუზა) ავარიები ყოველთვის იქით ხდებოდა (მარცხნივ ანიშნებს) ან აქეთ. (მარჯვნივ იშვერს ხელს) ჰო, ჩვენ თავიდანვე საუკეთესო ადგილი შევარჩიეთ. ყველაზე მშვიდობიანი, ყველაზე უხიფათო... (პაუზა) პირდაპირ საოცარია, როგორ მოგვივიდა თავში ასეთი იდეალური ადგილის შერჩევა. (ქარი წამოუბერავს. გაგა იბუზება) ცოტა ქარიანი ადგილი კია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სხვაგან უფრო უსისინებს. (პოლიციის მანქანების სირენა. გაგა მარჯვნისაკენ გააყოლებს თვალს) მოვიდნენ... (ჯიბიდან სათვალეს იღებს. უნდა, რომ გაიკეთოს. დაფიქრდება. აღარ იკეთებს და სათვალეს ისევ ჯიბეში იდებს) არ ღირს... თვალები ამიჭრელდება ისევ... რამდენი მანქანებია... ახალს მაინც ვერაფერს ვნახავ... (პაუზა) ისევ ის შავი მანქანები. (პაუზა) შავკოსტუმიანები (პაუზა) გადმოდიან, (პაუზა) შედიან. (პაუზა) ახალს ვერაფერს ნახავ. (პაუზა) ადრეც ასე იყო. (პაუზა) სულ ადრეც. (მარ-



ცხნივ გაიხედავს) ოღონდ მაშინ აქეთ აჩერებდნენ. მარჯვნიდან მოდიოდნენ და მარცხნივ აჩერებდნენ. (პაუზა) ახლა კი მარცხნიდან მოდიან და მარჯვნივ აჩერებენ. (პაუზა) რაც გუგა მოკვდა, მას შემდეგ (პაუზა) ჰო, რაც გუგა მოკვდა, მას შემდეგ ადგილი შეიცვალეს. (პაუზა) სისულელეა, მაინც ყველაფერი ძველებურად რჩება. (პაუზა) ზედმეტი ხლაფორთია. (პაუზა) გუშინ თქვეს, ათასოცდაჩვიდმეტი იყოო. (პაუზა) შეიძლება მეტიც იყო. (პაუზა) ჰო, არ არის გამორიცხული, მეტიც ყოფილიყო. (პაუზა) თუმცა არც ათასოცდაჩვიდმეტია ცოტა. (პაუზა) ამათ კი ადგილი შეიცვალეს. (პაუზა) ზედმეტი ხლაფორთია. (პაუზა) კიდევ კარგი, მაშინ არ ავყევით. (პაუზა) ოღონდ ამ ბოლო დროს ერთ რამეზე ვფიქრობ. (მარჯვნივ გაიხედავს) რამდენჯერაც ჩაივლიან ხოლმე, იმდენჯერ ვფიქრობ. (პაუზა) ფანჯრები ახლა აქეთკენ აქვთ... ესე იგი, უნდა გვხედავდნენ. (პაუზა) უნდა მხედავდნენ. ყოველდღე (პაუზა) გუგას, თუ გიგის, თუ გიგოს მიაჩნდა, მთავარია დაგვინახონ და ყველაფერი უკეთ იქნებაო. (პაუზა) ვერაფერი გავიგე. (პაუზა) ან ისინი ცდებოდნენ, ან მე. (დაფიქრდება) თუმცა, მე რაში უნდა ვცდებოდე? იმათი ფანჯრები ხომ ნამდვილად აქეთაა. (პაუზა) ჰო, ორი აზრი არ არსებობს, ნამდვილად აქეთაა. (პაუზა) ბევრჯერ მინახავს. (პაუზა) შემიძლია კიდევ შევამოწმო. (გულის ჯიბიდან სათვალეს იღებს და იკეთებს) უჰ, რა ამბავია... თავბრუ დამეხვევა... მიჰქრიან... მოჰქრიან... წითელი, ყვითელი, შავი, ლურჯი, მწვანე, თეთრი... ჭრელი... (პაუზა) არა, ჯობია მოვიხსნა. (სათვალეს იხსნის და გულის ჯიბეში იდებს) კიდევ კარგი, ყურს დამაკლდა, თორემ ამათი ხმაური გამიხვრიტავდა ტვინს... (პაუზა) არავინ მოდის. (დაფიქრდება) თუმცა, იქნებ მოდიან... უსათვალოდ ხომ ვერაფერს ვარჩევ. (პაუზა) ფასსაც არავინ კითხულობს... (დაფიქრდება) თუმცა, იქნებ კითხულობენ... მე კი არ მესმის. (პაუზა) შეუძლებელია, ამდენი ხანი ფასიც კი არავინ იკითხოს... (პაუზა) რაღაცაშია საქმე. (პაუზა) დავბერდი. (პაუზა. ამოიხვნეშებს) მალე ზამთარი მოვა... (ამოიხვნეშებს. უცებ ქარი ამოვარდება. გაგა მოიბუზება) უკვე მოდის... (ამოიხვნეშებს. ამასობაში მას უახლოვდება წელში მოხრილი მოხუცი ქალი. გაჩერდება მის წინ და შეხედავს)

**მოხუცი ქალი** — გაგა!

**გაგა** — (არ ესმის) დაიწყება... თოვლი... ქარი... თოვლჭყაპი...

**მოხუცი ქალი** — (უფრო ხმამაღლა) გაგა!

**გაგა** — (არ ესმის) თოვლბუქი... ქარბუქი... ქარჭყაპი... თოვლქარი...

**მოხუცი ქალი** — (უფრო ხმამაღლა) გაგა!

**გაგა** — (შეკრთება და მიიხედავს) ჰა! ვინ არის?!

**მოხუცი ქალი** — (უფრო ხმამაღლა) გაგა! ვერ მიცანი, გაგა?

**გაგა** — (ჯიბიდან სათვალეს იღებს, იკეთებს და აკვირდება) რომელი ხარ?
**მოხუცი ქალი** — ლილი.
**გაგა** — ჰა? (ყურს სახესთან მიუტანს)
**ლილი** — (რაც შეუძლია ხმამაღლა) ლილი.
**გაგა** — (მექანიკურად) ლილი.
**ლილი** — (თავს უქნევს) ლილი.
**გაგა** — ჰო. (პაუზა. უფრო ახლოს მიდის და აკვირდება) ჰო, ლილი. (პაუზა)
**ლილი** — (ისევ თავს უქნევს) ჰო. (პაუზა)
**გაგა** — (ისევ მექანიკურად) ლილი.
**ლილი** — (ისევ თავს უქნევს) ჰო. (ხანგრძლივი პაუზა) გამარჯობა გაგა!
**გაგა** — ჰა! (ყურს სახესთან მიუტანს)
**ლილი** — გამარჯობა, გაგა!
**გაგა** — გამარჯობა, (პაუზა) ლილი. (ხელს გაუწვდის მისკენ)
**ლილი** — (ნაჩიკს წაიღებს და მოცახცახე ხელს ჩამოართმევს) გამარჯობა.
**გაგა** — (მექანიკურად) გამარჯობა. (ლილის ხელი ისევ უჭირავს. ხანგრძლივი პაუზა. ერთმანეთს უყურებენ) ზამთარი მოდის...
**ლილი** — ჰო.
**გაგა** — თოვლქარი... ქყამქარი... ჭყამბუქი... ჭყაპთოვლი...
**ლილი** — ჰო.
**გაგა** — (მექანიკურად აგრძელებს) ჭყაპხეტლვა... ჭყაპწყობა... ჭყაპყინვა... ჭყაპჭყაპი...
**ლილი** — ჰო (პაუზა) გაგა!
**გაგა** — ჰა! (ყურს სახესთან მიუტანს)
**ლილი** — ნახვამდის.
**გაგა** — ჰო.
**ლილი** — ნახვამდის, გაგა!
**გაგა** — ჰო, ნახვამდის, ლილი! (პაუზა. გაგა ხელს გაუშვებს ლილის. ხანგრძლივი პაუზა. მერე ლილი ისევ გაუწვდის გაგას ხელს).
**ლილი** — ნახვამდის, გაგა!
**გაგა** — (ხელს ართმევს) ნახვამდის, ლილი! (ლილი ხელს უშვებს, ტრიალდება და მიდის. გაგა რამდენიმე წამით თვალს გააყოლებს, მერე სათვალეს მოიხსნის და ჯიბეში ჩაიდებს) ლილი (პაუზა) ლილი (დაფიქრდება) უცნაურია... ქარბუქი... ქარჭყაპი... ქართოვლი... ლილი... (პაუზა) კიდევ ვიღაც ქალი... ძალიან მოხუცი (დაფიქრდება) ჩანს, ძალიან უჭირს... დახმარება უნდოდა... ვერ გამიგეთ... ლილი... ზამთარი მოდის... ვერ გამიგეთ... მე კი ვერ მივხვდი (ქარი ამოვარდება) ბუქქარი... უკვე მამაგძაგებს... ნეტა რა დროა? (აქეთ-იქით იხედება) არავინ ჩანს, საათი რომ ვკითხო... (პაუზა) კბილს კბილზე მაცემინებს... (პაუზა) ჰო, კბილს კბილზე... ერთი კბილი ზევით, ერთიც



ქვემოთ... (პაუზა) ქვევითა ყანყალებს... (პაუზა) ზევითაც. (პაუზა) უფრო მეტად (პაუზა) ფეხის თითებიც მეყინება... (პაუზა) მთავარია კიდურები... (პაუზა) ჰო, მთავარია კიდურები... თბილად უნდა ქონდეს, თუ გინდა, რომ არ გაცივდე... (პაუზა) გოგა სულ ასე ცივდებოდა... სანამ მარცხენა ფეხის ცერა თითი არ მოეყინა... (პაუზა) უცნაურია... (დაფიქრდება) ორივე ფეხი ერთნაირი ჰქონდა, წინდები და ფეხსაცმელებიც ერთნაირი ეცვა, ცერა თითი კი მაინც მარცხენაზე მოეყინა... (პაუზა) ძალიან უცნაურია... (დაფიქრდება) შეიძლება წინდა ჰქონდა გახეული... მარცხენაზე... (პაუზა) ჰო, ცერა თითზე იქნებ ბოლმე გახვრეტა... (პაუზა) ლილია და წინდას ჩივის... (პაუზა) სახლში რომ მივალ, აუცილებლად უნდა შევამოწმო... ხშირად არც ვუყურებ, ისე ვიცვამ, ერთი სული მაქვს, როდის შევძვრები ლოგინში... (პაუზა) ლაულევყრობაა... ასე შეიძლება თითი გამიხდეს მოსაჭრელი... (შეშფოთებული ფეხებზე იყურება) ისეღაც ძლივს ვდგავარ... მერე ჯოხი და საათობით ორი თითზე იდექი... (დაფიქრდება) ცხრა თითზე... (პაუზა) თუ მარტო მარცხენაზე მოაჭრეს... და თუ მარჯვენაზეც, მაშინ... (პაუზა) არა, არა, დღეს აუცილებლად გულდასმით შევამოწმებ ჩემს წინდებს... და ფეხსაცმელებს... (პაუზა) ფეხსაცმელებს განსაკუთრებით... (პაუზა) ფეხსაცმელები მთავარია... (ფეხებზე იყურება) ძალიან გამომაცვა გაგას ფეხსაცმელები... ჩემსას ძირი უკვე გავარდნას ჰქონდა... (პაუზა) ახლის ყიდვას სად მოვახერხებდი... (პაუზა) ერთი კი არა, ათივე თითი მომეყინებოდა... (პაუზა) კიდევ ჯემპრი... ჯემპრიც ხომ მისი მაცვია... და კალსონებიც... (პაუზა) არა, ძალიან გამიჭირდებოდა უამისოდ... უკვე ხუთი წელია გატარებ... ახლის ყიდვას სად მოვახერხებდი...
**ქურაში მოსიარულე** — (გაგას მონოლოგის დროს მიუახლოვდება და ერთ-ერთ ნივთზე უთითებს) ეს რა ღირს?
**გაგა** — (არ ესმის) ახლის ყიდვა დღევანდელ დღეს თითქმის წარმოუდგენელია...
**ქურაში მოსიარულე** — (ხმამაღლა) ეს, არ გესმის?!
**გაგა** — (შეკრთება და მიხედავს) ჰა?!
**ქურაში მოსიარულე** — (ნივთზე უთითებს) ეს რა ღირს?!
**გაგა** — მილიონი.

(ცოტა ხანს წამით დაფიქრდება, მერე ჯიბიდან ფულს ამოიღებს, გადათვლის და გაგას აწვდის. გაგა გაკვირვებული დგას და უყურებს)

**გამვლელი** — (ფულს აწვდის და თავიდან გადათვლის) მილიონი არ თქვით?
**გაგა** — (მექანიკურად) მილიონი.
**გამვლელი** — ინებეთ.

**გაგა** — (მექანიკურად) მილიონი (ფულს ართმევს. გამვლელი იღებს ნაყიდ ნივთს და მიდის).

**გაგა** — (იგივე ტონით) მილიონი (ფულს დახედავს) მილიონი (ჯიბიდან სათვალეს ამოიღებს, გაიკეთებს და ფულს დააკვირდება) მილიონი (პაუზა. ფულს ითვლის) მილიონი. (ჩაფიქრებული პაუზა) ბინის ქირა... (პაუზა) გათბობა... (პაუზა) ცხელი წყალი... (პაუზა) ჯობია წინასწარ გადავიხადო... (პაუზა) ტელეფონი... (პაუზა) არა, ტელეფონი არ მჭირდება. (პაუზა) ბაზარში წავალ. (პაუზა) არა, მაღაზიაში ჯობია. ახლოსაა. იაფიცაა. (პაუზა) სიგარეტი. (პაუზა) ჯობია თავი დავანებო. (პაუზა) არა, ჯობია სიგარეტი ვიყიდო. (პაუზა) რამდენიმე კოლოფი. (პაუზა) უნდა გავიანგარიშო. ყველაფერი. სახლში. (პაუზა) ტელეფონი არ მჭირდება. (პაუზა) წინდები უნდა ვნახო. თუ გახეულია, ახალი უნდა ვიყიდო. (პაუზა) არა, შეიძლება დავკემსო. (პაუზა) ცუდად ვკერავ, ხელებიც მიკანკალებს, გავწვალდები. (პაუზა) იქნებ გაირღვევა. (პაუზა) არა, ჯობია ახალი ვიყიდო. (პაუზა) [illegible] მაღაზიაში ვერ წავალ. (პაუზა) სიგარეტსაც თავი უნდა დავანებო. (პაუზა) თუ არა და ფილტვები მომეყინება და მომაჭრიან (პაუზა) და აქ ვეღარ დავდგები (პაუზა) და ვერაფერს გავყიდი. (პაუზა) არა, ჯობია წინდები ვიყიდო (პაუზა) თუ გახეულია (პაუზა) და ფეხსაცმელები შევაკეთო. (პაუზა) თუმცა ძველი ფეხსაცმელები გამძლეა, შეკეთება არ დასჭირდება. (პაუზა) ჯობია საკვები მოვიმარაგო. (პაუზა) რამდენი ხანი მეყოფა? (პაუზა) უნდა დავიანგარიშო. სახლში. ავწონ-დავწონო... (პაუზა) ჯერ ისიც არ ვიცი, წინდები დახეულია თუ არა. (პაუზა) თუ დახეული არაა, ერთი კვირა უნდა მეყოს (პაუზა) ან ორი. (პაუზა) არა, ორი ბევრია. კვირანახევარი. (პაუზა) ჰო, კვირანახევარი კარგი დროა. ათი დღე. ან თერთმეტი. თერთმეტი დღე ძალიან კარგია. მერე კიდევ რამე გამოჩნდება. (ქარი წამოუბერავს, გაგა მოიბუზება) ქარბუქი... ქარიშხალი... (ფულს შეხედავს) ჯობია შევინახო... (ფულს ჯიბეში იდებს. მერე სათვალეს იხსნის და [illegible] ინახავს) დღეს ყველაფერს კარგად დავიანგარიშებ. (პაუზა) მთავარია არ შევცდე. (პაუზა) თანხები სწორად გავანაწილო. (პაუზა) ტელეფონი არ მჭირდება. (პაუზა) ჰო, გაზი დამავიწყდა. (პაუზა) გაზი მჭირდება. ცივა. (პაუზა) ჩაის [illegible]. (პაუზა) ცხელი ჩაი ზამთარში კარგია. (პაუზა) ორი ჭიქა. ან სამი. (გაგას მარჯვენა მხრიდან უახლოვდება პოლიციელი. გაგა [illegible] ზურგით და პოლიციელს ვერ ხედავს)

**პოლიციელი** — (მრისხანედ) მოქალაქე!

**გაგა** — (შეკრთება, მიიხედავს) მილიონი.

**პოლიციელი** — რა ბრძანეთ?

**გაგა** — (იმედით) მილიონი.



**პოლიციელი** — საბუთები!

([illegible] გაგა შეაცქერის პოლიციელს. ვერ ხვდება, რაშია საქმე. მერე ჯიბიდან [illegible] ამოიღებს და [illegible])

**პოლიციელი** — საბუთები!

**გაგა** — (მექანიკურად) საბუთები.

**პოლიციელი** — ჰო, საბუთები!

**გაგა** — (თავისთვის) პოლიცია.

**პოლიციელი** — (მრისხანედ) პოლიცია! (პაუზა) საბუთები!

([illegible] ხელებს. პოლის საბუთებს პოულობს და [illegible] და [illegible])

**პოლიციელი** — ნებართვა!

**გაგა** — (მექანიკურად) ნებართვა.

**პოლიციელი** — ჰო, ნებართვა.

**გაგა** — (დაფიქრდება. პოლიციელს) ვერ გავიგე.

**პოლიციელი** — ნებართვა! ვაჭრობის!

**გაგა** — (დაფიქრდება) ვერ გავიგე.

**პოლიციელი** — (უფრო ხმამაღლა) ნებართვა! ვაჭრობის!

**გაგა** — ვერ გავიგე.

**პოლიციელი** — (გაღიზიანებული) არ გაქვთ!

**გაგა** — რა?

**პოლიციელი** — ნებართვა!

**გაგა** — (დაბნეული) არ ვიცი.

**პოლიციელი** — აკრძალულია!

**გაგა** — რა?

**პოლიციელი** — ვაჭრობა! უნებართვოდ!

**გაგა** — ვერ გავიგე.

**პოლიციელი** — (განრისხებული) არ შეიძლება! (საქონელზე) აალაგეთ!

**გაგა** — რატომ?

**პოლიციელი** — (ყვირილით) დანაშაულია! უნებართვოდ! დაგაჯარიმებთ! [illegible]! დაგასამართლებთ! (საქონელზე) აალაგეთ! ახლავე! ვინ [illegible] უფლება!

**გაგა** — [illegible] ხანია.

**პოლიციელი** — (აწყვეტინებს) პირველად ვხედავ! აალაგეთ!

**გაგა** — სულ აქ...

**პოლიციელი** — (აწყვეტინებს) ათ წუთში! კონფისკაციას გაგიკეთებთ! დაგაპატიმრებთ!

გაგა — რატომ?

პოლიციელი — უკვე გითხარით! ამ წუთში აადევეთ! აქ აღარ დაგინახოთ! ხუმრობის გარეშე! არც ხვალ! არც ზეგ! არც არასოდეს! (მხედრულ სალამს აძლევს, შემობრუნდება და მარჯვენა მხრიდან გადის)

გაგა — (საშინელი პაუზის შემდეგ) არ შეიძლება... (პაუზა) უნებართვოდ... (პაუზა) უნდა ავიღავო... (პაუზა) და აქ აღარასოდეს გამოვიდე... (პაუზა) პოლიციელმა... (პაუზა) პირველად მხედავდა... (პაუზა) თურმე კანონს ვარღვევდი... (პაუზა) კანონს ვარღვევდით... (პაუზა) ამდენი ხანი... (პაუზა) არც კი ვიცოდით... (პაუზა) ნებართვა უნდა აგვეღო... (პაუზა) ვისგან? (პაუზა) წარმოდგენა არა მაქვს. (პაუზა, უცებ გამოფხიზლდება) პოლიციელი... (პაუზა) ამ წუთში დაბრუნდება. (პაუზა) ყველაფერს წამართმევს. (პაუზა) დამაპატიმრებს. (პაუზა) სწრაფად უნდა ავალაგო. (მიდის დახლთან, იღებს ხელჩანთას და საქონლის ჩალაგებას იწყებს) 50 წელი... (პაუზა) თუ უფრო მეტი... (პაუზა) თითქმის ყოველდღე... (პაუზა) პოლიციელი კი პირველად მხედავს... (პაუზა) პოლიციელი ახალგაზრდაა... (პაუზა) კარგად გავარჩიე, (პაუზა) სათვალეთი ვუყურებდი. (პაუზა) ახალგაზრდაა. კანონს იცავს. (პაუზა) უნდა დაიცვას. (პაუზა) ახალგაზრდაა. მე კი რაღა ვქნა? (პაუზა) არ ვიცი. (პაუზა. საქონელს ჩაალაგებს და ხელჩანთას მხრებზე იკიდებს. აკორდეონსაც ზურგზე) უკვე ძალიან მეზარება... (პაუზა) ძლივს ვათრევ. (პაუზა. გაგა ნაბიჯს წადგამს მარცხენა კულისებისაკენ. ამ დროს ისმის მანქანების შეჯახების ხმა. გაგა ქუჩის მხარეს გაიხედავს. მერე ისევ თავს მიაბრუნებს) ისევ ავარია... (პაუზა) ყოველდღე. (პაუზა. ხელს ჩაიქნევს და კიდევ ერთ ნაბიჯს წადგამს) გოგა ავარიაში დაიღუპა (პაუზა) დიდი ხნის წინ, (პაუზა) ოთხი ლევანი... (პაუზა) ხელიდან არ გაუშვია. (პაუზა. ისევ შეჯახების ხმა. გაგა შეჩერდება, მაგრამ ქუჩისაკენ აღარც გაიხედავს) კიდევ... (პაუზა) უამრავი მანქანა... (პაუზა) ნებართვა... (პაუზა) არც კი ვიცი, ვინ იძლევა. (პაუზა. ქარი წამოუბერავს) დაუბერა... ქარია წავიდე. (ისევ წადგამს ნაბიჯს. კულისებს უახლოვდება) მილიონი... (პაუზა) ათი დღე უნდა მეყოს... ან თერთმეტი... (პაუზა) წინდა უნდა ვნახო. (პაუზა) ყველაფერი აწონ-დაწონილი. (პაუზა) ათი დღე... ან თერთმეტი... (პაუზა) თერთმეტი დღე კარგია... მერე ვნახოთ... რამე იქნება... (სცენიდან გადის. ისმის პოლიციის მანქანების სირენა)

**ფარდა**